ხელშეკრულება №8/01/11/1

ქ. თბილისი 8 იანვარი 2011 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ სსიპ „**საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი**“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **ნიკოლოზ მემანიშვილის** სახით (შემდგომ -„ცენტრი") და მეორე მხრივ სს „**გლობალ-ვრთი**“, წარმოდგენილი მისი გენ. დირექტორის **გიორგი მახიტიძის** სახით (შემდგომ -„შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შეუფერხებელი მომსახურება „8-18“ და „8-18-00 18“ ინდექსით სარგებლობისას (შემდეგში „სამუშაო")

1.2. „ცენტრი" თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" ხელშეკრულების 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის **15 (თხუთმეტი)** დარი.

1.3. 1.2. პუნქტში გათვალისწინებული თანხა გადაერიცხება „შემსრულებელს“ მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

1.4. ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „შემსრულებელმა" 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო" უნდა შეასრულოს საქართველოში მოქმედი ხარისხის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2.2. „ცენტრი" ვალდებულია განიხილოს შესრულებული „სამუშაო" და წერილობით შეატყობინოს „შემსრულებელს" „სამუშაოს" მოწონების ანდა მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

2.3. თუ „შემსრულებელს" 7 (შვიდი) დღის ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, შესრულებული „სამუშაო" „ცენტრის" მიერ მოწონებულად ითვლება.

2.4. იმ შემთხვევაში თუ „შემსრულებლის" მიერ განხორციელებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების 1.1. პუნქტში ასახულ პირობებს, „ცენტრს" უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან შეუმციროს სანდაური „შემსრულებელს" იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

3. ხელშეკრულების ვადა

3.1. „ცენტრის" მიერ „სამუშაოს" მიღება ხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 1 თებერვლამდე.

3.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს

ა) მხარეთა შეთანხმებით;
ბ) „ცენტრის" მიერ, „სამუშაოს" დასრულებამდე ნებისმიერ დროს;

3.4. იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება წყდება 3.3. პუნქტის „ბ" ქ ვეპუნქტის საფუძველზე „ცენტრი" ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსრულებელს" შესრულებული „სამუშაოს" ღირებულება.

4. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

4.1. მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

5.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

6. დავა

6.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
6.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „ცენტრი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „ცენტრის" მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „ცენტრი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „შემსრულებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „შემსრულებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4 კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე დაეკისროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ტექნიკურ დირექტორს – დავით გოგიშვილს.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

8.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეეიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

ცენტრი	*შემსრულებელი*
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“	სს „გლობალ ერთი“
საიდენტ. კოდი 205065196 მის.: თბილისი. ბარნოვის ქ. №54 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი ანგარიშის №: 119 780 800 კოდი: BAGAGE22 ტელ: 915505 915533	საიდენტ. კოდი 20194918 მის.: თბილისი, რუსთაველის გამ. №31 საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკის“ ც/ფ კოდი: MIBGGE22 ანგარიშის №: GE60PC0133600100036106 ტელ.: 439140; 439143
ხელმძღვანელი ნიკოლოზ მემანიშვილი	გენ. დირექტორი გიორგი მაჩიტაძე